В течение срока действия дисциплинарного взыскания меры поощрения, указанные в настоящих типовых правилах, к работнику не применяются.

31. Правила внутреннего трудового распорядка вывешиваются на видном месте.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 18 სექტემბრის ბრძანება № 550

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის ფუნქციების განაწილების შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს შორის ფუნქციების შემდეგი განაწილება:

#### მინისტრი ამხ. ო. დ. ქინქლაძე

— საგეგმო-საფინანსო სამმართველო
— სახალხო განათლების ინსპექცია
— ცენტრალური ბუღალტერია
— ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
— გაზეთი „სახალხო განათლება"
— ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება"
— სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა დანიშვნა, გადაყვანა, დათხოვნა, მივლინება
— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა
— რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუშაკთა მივლინებები
— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრი.

#### მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მ. კ. კობახიძე

— სკოლების სამმართველო
— სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
— საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო
— სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
— სახელმძღვანელოების სამმართველო
— სამმართველო-განყოფილებათა შესაბამისი მეთოდკაბინეტები
— ი. გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
— პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები
— სკოლებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, ბავშვთა დაცვის, სასკოლო ჰიგიენისა და კვების საკითხები, პროფორიენტაცია
— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრის მოადგილე ამხ. ო. ვ. დოლიძე

— კადრების სამმართველო
— მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტები
— განათლების მუშაკთა დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია
— კადრების ატესტაციის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა
— უცხოეთთან ურთიერთობის ორგანიზაცია
— პედაგოგიური კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების საბჭო
— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატის საბინაო-საყოფაცხოვრებო საკითხები
— შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

მინისტრის მოადგილე ამხ. მ. დ. დარჩია

— აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
— ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო
— დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო
— სამინისტროს სისტემაში შემავალი მუზეუმები
— სკოლისგარეშე რესპუბლიკური დაწესებულებები
— პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლა
— სამართლებრივი აღზრდა
— წვევამდელებთან მუშაობა

მინისტრის მოადგილე ამხ. თ. მ. ვაჩნაძე

— კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
— მომარაგების მთავარი სამმართველო
— რესპუბლიკური საპროექტო კანტორა და ტექნიკური საბჭო
— ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება
— სამინისტროს სისტემაში სოციალისტური საკუთრების დაცვისა და სახანძრო უშიშროების საკითხები
— სამინისტროს ადმინისტრაციული სახლი

2. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 31 აგვისტოს № 666 ბრძანება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 30 სექტემბრის ბრძანება № 575

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მუშაობის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 3 ივნისს მიღებული № 380 დადგენილებით დაამტკიცა სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიების მუშაობის ტიპური დებულება და დაავალა მათ ხელმძღვანელებს უზრუნველყონ თავიანთი კოლეგიების მუშაობა აღნიშნული დებულებისა და მასში მოცემული რეკომენდაციების და მოთხოვნათა საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მუშაობის დებულება და ძალაში შევიდეს იგი მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1976 წლის 2 ნოემბრის № 1011 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მუშაობის საერთო რეგლამენტი".

3. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა განუხრელად იხელმძღვანელონ კოლეგიის მუშაობის ახალი დებულებით;

— შეიმუშაონ და ჩემს შესაბამის მოადგილეებთან შეთანხმების შემდეგ დაამტკიცონ ყოველი მომდევნო წლის პერსპექტიული (წლიური) სამუშაო გეგმები წინა წლის 10 ნოემბრამდე;

აღნიშნულ პერსპექტიულ (წლიურ) სამუშაო გეგმებზე დაყრდნობით და ცხოვრების მოთხოვნილებით გამოწვეული ახალი საკითხების გათვალისწინებით შეიმუშაონ მიმდინარე (კვარტალური) სამუშაო გეგმების პროექტები და ჩემი შესაბამისი მოადგილის ვიზით წარუდგინონ კოლეგიის მდივანს ყოველი კვარტალის მეორე თვის 20 რიცხვისათვის.

4. კოლეგიის მდივანმა (ამხ. ნ. ღამბაშიძე) სამმართველო-განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი კვარტალური სამუშაო გეგმების პროექტების მიხედვით და ჩემი წინადადებების გათვალისწინებით ყოველი კვარტალის ბოლო თვის 1-ლ რიცხვამდე შეიმუშაოს და კვარტალური სამუშაო გეგმების პროექტებთან ერთად წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად კოლეგიის მუშაობის კვარტალური გეგმის პროექტი.

5. მინისტრის თანაშემწემ (ამხ. ზ. ალადაშვილი) დააწესოს კონტროლი კოლეგიის მუშაობის ახალი დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### О Положении о работе коллегии Министерства просвещения ГССР

**30 сентября 1985 года, № 575**

Совет Министров Грузинской ССР своим постановлением от 3 июня 1985 года за № 380 утвердил типовое Положение о работе коллегии министерств и ведомств и поручил их руководителям обеспечить работу своих коллегий на основании настоящего Положения и изложенных в нем рекомендаций и требований.

П р и к а з ы в а ю:

1. Утвердить Положение о работе коллегии Министерства просвещения ГССР и ввести его в силу с 15 ноября текущего года.

2. Считать утратившим силу «Общий регламент работы коллегии Министерства просвещения ГССР», утвержденный приказом № 1011 от 2 ноября 1976 года.

3. Начальникам управлений и отделов Министерства неуклонно руководствоваться новым Положением о работе коллегии:

— разрабатывать и, по согласованию с моими соответствующими заместителями утверждать перспективные (годовые) планы работы на каждый последующий год до 10 ноября предыдущего года;

— опираясь на означенные перспективные (годовые) планы работы и с учетом новых вопросов, возникших потребностями жизни, разрабатывать проекты текущих (квартальных) планов работы и после визирования их моим соответствующим заместителем представлять секретарю коллегии к 20 числу второго месяца каждого квартала.

4. Секретарю коллегии (тов. Н. Гамбашидзе) в соответствии с представленными управлениями и отделами проектами квартальных планов работы и с учетом моих предложений разрабатывать до 1-го числа последнего месяца каждого квартала и вместе с проектами квартальных планов работы представлять

для утверждения на коллегию проект квартального плана работы коллегии.

5. Помощнику министра (тов. З. Аладашвили) установить контроль за выполнением требований, определенных настоящим Положнием о работе коллегии.

Министр **О. Д. Кинкладзе**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში 1984 წელს კადრების დენადობის მდგომარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება პედაგოგიური კადრების დენადობის შემცირებისა და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის. პედაგოგიური კადრების მოძრაობა-დენადობის შემცირების მიზნით ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, დარგობრივ პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად, შეიმუშავეს და განახორციელეს კონკრეტული ღონისძიებები შრომითი დისციპლინის განმტკიცების, სტაბილური პედაგოგიური კოლექტივების ფორმირების, მასწავლებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მასწავლებელთა კადრების რაციონალურად გამოყენების, ადგილებზე მათი დამაგრების მიზნით, ახალგაზრდა სპეციალისტები შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაოზე ნაწილდებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ პრინციპით, 1984 წელს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გაიგზავნა უმაღლესი განათლების მქონე 744 ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელთაგან ადგილზე ყველა დამაგრდა და დღესაც განაგრძობს მუშაობას.

პედაგოგიური კადრების ადგილზე დამაგრების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მასწავლებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. 1981—1984 წლებში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებების სახსრებით აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 3944 კვ. მეტრი ფართობის (91,9%) მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები (დანართი 3).

საგრძნობლად იმატა საკუთარ და კომუნალურ ბინებში მცხოვრებ სოფლის მასწავლებელთა, მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტთა რაოდენობამ. თუ 1981 წელს აღნიშნულ ბინებში ცხოვრობდა რესპუბლიკის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 55,8%, 1982 წელს — 58,8%, ხოლო 1983 წელს — 60,0%, 1984 წელს ამ მაჩვენებელმა 60,9%-ს მიაღწია. შესაბამისად შეიცვალა ამავე ბინებში მცხოვრებ ახალგაზრდა სპეციალისტთა რაოდენობაც (დანართი 4).

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინათმშენებლობისა და მეურნეობის მოსაწყობად სოფლის მასწავლებელთა მიერ სახელმწიფო ბანკის კრედიტით სარგებლობის მდგომარეობა. თუ 1981 წელს სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი სესხით ისარგებლა მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 0,6%-მა, 1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს 0,6%-მა, ხოლო 1983 წელს — 0,7%-მა, 1948 წელს ეს მაჩვენებელი 0,8%-მდე გაიზარდა (დანართი 5).

სათანადო ყურადღება ექცევა სოფლის მასწავლებელთათვის კვების პროდუქტების სახელმწიფო ფასებში მიყიდვისა და დეფიციტური სამრეწველო საქონლით მომარაგების საქმეს. 1984 წელს ამ შეღავათებით ისარგებლა მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 7,5%-მა.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მასწავლებელთა სამედიცინო, საკურორტო-სანატორიულ მომსახურებას. ყოველწლიურად მოწმდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში ეწევა პროფილაქტიკურ-სამკურნალო დახმარება. 1981—1984 წლებში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებით ისარგებლა რესპუბლიკის სკოლების 11630-მა მასწავლებელმა ანუ საერთო რაოდენობის 14,12%-მა (დანართი 6).

მასწავლებელთა შრომითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასა და სწავლა-აღზრდის საქმეში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევაში დადებითი როლი ითამაშა მორალურმა და მატერიალურმა სტიმულირებამ, მან ხელი შეუწყო ადგილებზე მასწავლებელთა დამაგრებას. 1981—1984 წლებში რესპუბლიკაში სხვადასხვა სახის ჯილდოთი წახალისდა სახალხო განათლების 7568 მუშაკი (დანართი 7).

ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა განაპირობა რესპუბლიკაში პედაგოგიური კადრების დენადობის შემცირება. ასე რომ, თუ 1981 წელს სხვადასხვა მიზეზით სამუშაოდან გათავისუფლდა მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 5,3%, 1982 წელს — 4,8%, ხოლო 1983 წელს — 4,7%, 1984 წელს ეს მაჩვენებელი 4,6%-მდე შემცირდა (დანართი 8).

ამასთან, მასწავლებელთა კადრების ადგილზე დამაგრებისა და დენადობის შემცირების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

კვლავ დიდია პედაგოგიური კადრების მოძრაობა ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახმეტის, გეგეჭკორის, მარნეულის, მახარაძისა და სხვა რაიონებში. აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ წელთან შედარებით რესპუბლიკაში იმატა სახალხო მეურნეობის სხვა დარგში გადასულ მასწავლებელთა რაოდენობამ: თუ 1983 წელს სახალხო მეურნეობის სხვა დარგში სამუშაოდ 103 მუშაკი ანუ მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 0,12% გადავიდა, 1984 წელს ეს მაჩვენებელი 202 კაცამდე ანუ 0,24%-მდე გაიზარდა (დანართი 9).

ცალკეული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, დარგობრივი პროფკავშირი, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომები ვერ იჩენენ სათანადო ზრუნვას მასწავლებელთა შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის. მაგალითად; ახალციხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სოფლის 317 მასწავლებლიდან დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს 64 ანუ 15,3%, დუშეთის რაიონის სოფლის 368 მასწავლებლიდან — 109 ანუ 29,6%, ქარელის რაიონის 542 მასწავლებლიდან — 180 ანუ 33,2%, თეთრი წყაროს რაიონის 312 მასწავლებლიდან 114 ანუ 36,5%. ანალოგიური მდგომარეობაა გარდაბნის (13,8%) და წალენჯიხის (22,5%) რაიონებში, სადაც გასულ წლებთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ მასწავლებელთა რაოდენობა (დანართი 10).

ამგვარად, აღნიშნულ ბინებში ამჟამად ცხოვრობს 2592 მასწავლებელი ანუ სოფლის მასწავლებელთა 3,1% (დანართი 11).

მასწავლებელთა სახლების მშენებლობას კვლავ მოითხოვენ: ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბორჯომის, გარდაბნის, გალის, მცხეთის, წალკისა და წყალტუბოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები (დანართი 12).

1984 წელს რესპუბლიკაში ვერ შესრულდა სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურებისათვის გაღებული ხარჯების გეგმა. თუ 1981 წელს იგი 96,4%-ით შესრულდა, 1982 წელს 102,0%-ით, ხოლო 1983 წელს — 100,0%-ით, 1984 წელს ამ მაჩვენებელმა 92,7%-მდე დაიკლო (დანართი 13).

რესპუბლიკის რიგი სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დასაზუსტებელი აქვთ თავიანთ მიკრორაიონებში განლაგებული სოფლის სკოლების მასწავლებელთა და მათი ოჯახების წევრთა რაოდენობა. დადგენილი ნორმების შესაბამისად გასაანგარიშებელია საჭირო სათბობი მასალებისა და ელექტროენერგიის მოცულობა, მათი წლიური ხარჯები, რაც რაიაღმასკომების საგეგმო და საფინანსო განყოფილებებს დადგენილ ვადებში უნდა წარუდგინონ. ამას კი არც ერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი (მცირე გამონაკლისის გარდა) არ ასრულებს. მასწავლებელთა საწვავი მასალების ფონდებისა და მათი ხარჯების დაგეგმვა-გაანგარიშებას ისინი ახდენენ არა რეალური მონაცემებისა და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული გათბობა-განათების ნორმების გათვალისწინებით, არამედ პირადი შეხედულებით, რაც დაუშვებელია.

ჯერ კიდევ არ სარგებლობენ კომუნალური მომსახურებით: აბაშის, ასპინძის, მაიაკოვსკის, წალკის, ხობისა და სხვა რაიონების სკოლამდელი აღზრდის მუშაკები.

1984 წელს, თანხის უქონლობის გამო, ინდივიდუალური ბინების მშენებლობისათვის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი სესხით კვლავ ვერ ისარგებლეს ახმეტის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ყაზბეგის, მესტიის, ონის, წალენჯიხისა და წალკის რაიონების მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლებმა. სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების რაოდენობა ზაფხულის პერიოდში, წელიწადის სხვა დროსთან შედარებით, მცირე რაოდენობით გამოიყოფა ამბროლაურის, სიღნაღისა და სხვა რაიონებისათვის, რაც მასწავლებელთა სამართლიან გულისტკივილს იწვევს.

ბოლნისის, ვანის, მცხეთის, ონის, გურჯაანის, დმანისის, ლენტეხის, წალკისა დას ხვა რაიონების სასოფლო საბჭოების აღმასკომები შეშის მოზიდვის ხარჯებს კვლავ თვით მასწავლებლებს აკისრებენ.

ამრბოლაურის, ასპინძის, ბოლნისის, გალის, ვანის, დმანისის, ყვარლის, ლენტეხის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონებში კვლავ არ არის მოგვარებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მასწავლებელთათვის სურსათის სახელმწიფო ფასებში მიყიდვის საქმე.

ადგილობრივ და ჩამოსულ მასწავლებელთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფაზე ნაკლებად იზრუნეს ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის, თელავის, ხობისა და წალკის რაიონების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, რის გამოც ამ საკითხებზე გახშირდა საჩივრები ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. მარტო 1984 წელს საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ განათლების სამინისტროს მიმართა ბოლნისის (შ. მ. მეხტიევი, ა. ნ. ტალიბოვი, ა. ბ. მამედოვი), წალკის (ბალაბანოვი, ნალბანდიანი, ჩამურლიევი) რაიონების 10-მა მასწავლებელმა. ასე მაგალითად, ბოლნისის რაიონის სოფელ ძველი ქვეშის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. მ. ალშანოვი წლების მანძილზე ოჯახით (10 სული) ძმებთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობდა და სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფისათვის არაერთხელ მიუმართავს ზემდგომი და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. ამავე რაიონის სოფელ ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელ შ. მ. მეხტიევს (ოჯახით ცხოვრობს 7,5 კვ. მ. ოთახში) ბოლნისის ღვინის მეურნეობამ ბინის ასაშენებლად არარსებული ჩამონაჭერი მიწა შესთავაზა და სხვ.

წალკის რაიონის სოფლების არ-სარვანის, თეჯისის, კიარაკის, ბაშკოვის საშუალო სკოლების მასწავლებლები წლების მანძილზე არ ღებულობდნენ კუთვნილ სათბობს (ქვანახშირი), ხოლო სოფლების: ავრანლოს, ბეშთაშენისა და გუნია-კალის საშუალო სკოლების მასწავლებლებს 7 წლის მანძილზე უფასოდ არ მიუღიათ კუთვნილი სათბობი, რის გამოც იძულებულნი იყვნენ იგი მაღალ ფასებში შეესყიდათ და სხვ.

ყოველივე ამან რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში ხელმძღვანელი კადრების მოძრაობა-დენადობის გაზრდა განაპირობა. 1983 წელს სხვადასხვა მიზეზით რესპუბლიკაში სამუშაოდან გათავისუფლდა 353 ხელმძღვანელი მუშაკი, ხოლო 1984 წელს ეს მაჩვენებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი 410 კაცამდე გაიზარდა. მაგალითად, 1983 წელს სხვადასხვა მიზეზით ქ. ქუთაისში სამუშაოდან 9 ხელმძღვანელი მუშაკი გათავისუფლდა, 1984 წელს ამ რიცხვმა 25 კაცამდე იმატა. ახმეტის რაიონში 1983 წელს ამავე მიზეზით 3 ხელმძღვანელი მუშაკი გათავისუფლდა, ხოლო 1984 წელს ეს რიცხვი 10 კაცამდე გაიზარდა. ანალოგიური მდგომარეობაა ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, დუშეთის, მახარაძის, ყაზბეგის, სამტრედიის, საჩხერის, ხაშურის, წალკის რაიონებში (დანართი 14).

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგიური კადრების დენადობა რესპუბლიკის მასშტაბით საერთოდ შემცირდა, მოძრაობა-დენადობა რესპუბლიკის ცალკეულ რაიონში კვლავ დიდია. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში 1984 წელს სამუშაოზე მიღებულია 39 მასწავლებელი, ხოლო გათავისუფლებულია — 43 ანუ ამავე რაიონის მასწავლებელთა საერთო (621 კაცი) რაოდენობის 6,2%, რაც გასულ წელთან შედარებით 0,7%-ით მეტია. ანალოგიური მდგომარეობაა წალკის რაიონში, სადაც აღნიშნულ პერიოდში მიღებულია 29, ხოლო განთავისუფლებულია 37 მასწავლებელი, ანუ 4,6%, რაც გასულ წელთან შედარებით 0,5%-ით მეტია.

პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა საფუძველზე ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების მოძრაობა-დენადობის შემცირების თაობაზე მიღებულ დადგენილებათა განუხრელად შესრულების მიზნით, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ 26-ე და საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობების, საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 და 1984 წლების გადაწყვეტილებებით „რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში კადრების დენადობის მდგომარეობის შესახებ“ და უზრუნველყონ მათი შესრულება.

1. 2. ყოველწლიურად შეისწავლონ და განათლების საბჭოს მსჯელობის საგნად გახადონ აღნიშნული საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის; იზრუნონ პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრების დენადობის შემცირებისათვის;

1. 3. დააწესონ კონტროლი სოფლის სკოლის მასწავლებელთა და სკოლამდელი აღზრდის მუშაკთათვის კანონმდებლობით დაწესებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეღავათების დაცვაზე, სათანადო ყურადღება მიაქციონ მათ მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას, პერიოდულად სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, მათი დახმარებით მიაღწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ფართო მონაწილეობას სოფლის მასწავლებელთათვის მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის საქმეში.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

2. 1. დაავალოს რესპუბლიკის რაისაბჭოს აღმასკომებს სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარონ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, რათა მათ დადგენილ ვადებში ზუსტად აღრიცხონ თავიანთ მიკრორაიონებში განლაგებული სკოლების მასწავლებელთა და მათი ოჯახების წევრთა რაოდენობა. დამტკიცებული ნორმების შესაბამისად გაიანგარიშონ საჭირო სათბობი მასალებისა და ელექტროენერგიის მოცულობა, მათი წლიური ხარჯები და დროულად წარუდგინონ გაანგარიშებები რაიაღმასკომის საგეგმო და საფინანსო განყოფილებებს.

3. ეთხოვოს ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის, თელავის, ხობისა და წალკის რაიონული საბჭოების აღმასკომებს მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ და გულისყურით მოეპყრან მასწავლებელთა თხოვნას ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

4. ეთხოვოს აბაშის, ასპინძის, გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, წალკისა და ხობის რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაავალონ შესაბამისი რაიონების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს გაავრცელონ სკოლამდელი აღზრდის მუშაკებზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული კომუნალური მომსახურების შეღავათები.

5. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

## ცნობები

### ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებისა და ადგილზე დამაგრების შესახებ

1981 წელს გაიგზავნა 1212 ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელთაგან ადგილზე დამაგრდა 1007, ანუ 83,0%

1982 წელს გაიგზავნა 1163, დამაგრდა 771, ანუ 66,3%

1983 წელს გაიგზავნა 1438, დამაგრდა 1066, ანუ 74,1%

1984 წელს გაიგზავნა 1539, დამაგრდა 978 ანუ 63,5%

სულ: გაიგზავნა 5352, დამაგრდა 3922 ანუ 73,3%

დანართი 2

## ცნობები

### 1981—1984 წლებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახალგაზრდა სპეციალისტთა სამუშაოზე განაწილების შესახებ

1981 წელს — 1212 ახალგაზრდა მასწავლებლიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განაწილდა 602

1982 წელს — 1163 ახალგაზრდა სპეციალისტიდან 658

1983 წელს — 1438 ახალგაზრდა სპეციალისტიდან 861

1984 წელს — 1539 ახალგაზრდა სპეციალისტიდან 744

სულ: 5352 ახალგაზრდა მასწავლებლიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განაწილდა 2865.

დანართი 3

## ცნობები

### სახელმწიფო კაპდაბანდებათა სახსრებით 1981—1984 წლებში მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციაში შეყვანის შესახებ

1981 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 2335 კვ. მ., აშენდა 1907 კვ. მ. ანუ 93,7%

1982 წელს გეგმით — 965 კვ. მ., აშენდა 1045 კვ. მ. ანუ 108,3%

1983 წელს გეგმით — 607 კვ. მ., აშენდა 608 კვ. მ. ანუ 100,2%

1984 წელს — 384 კვ. მ., აშენდა 384 კვ. მ. ანუ 100,0%

სულ: გეგმით 4291 კვ. მ., აშენდა 3944 ანუ 91,9%

დანართი 4

## ცნობები

### საკუთარ და კომუნალურ ბინებში მცხოვრებ სოფლის მასწავლებელთა და მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტთა რაოდენობის შესახებ

1981 წელს საკუთარ და კომუნალურ ბინებში ცხოვრობდა 44251

მასწავლებელი, ანუ 55,8%, მათ შორის 4570 ახალგაზრდა სპეციალის-ტი, ანუ 5,6%

1982 წელს — 48883 მასწავლებელი, ანუ 56,8%, მათ შორის 4784 ახალგაზრდა სპეციალისტი, ანუ 5,9%

1983 წელს — 50634 მასწავლებელი, ანუ 60,7%, მათ შორის 4817 ახალგაზრდა სპეციალისტი, ანუ 5,8%

1984 წელს — 50667 მასწავლებელი, ანუ 60,9%, მათ შორის 5259 ახალგაზრდა სპეციალისტი, ანუ 6,3%

დანართი 5

## ცნობები

**მასწავლებელთა მიერ ინდივიდუალური სახლების მშენებლობისათვის სახელმწიფო ბანკის კრედიტით სარგებლობის შესახებ**

1981 წელს ისარგებლა 306-მა მასწავლებელმა, ანუ 0,6%-მა
1982 წელს ისარგებლა 285-მა მასწავლებელმა, ანუ 0,6%-მა
1983 წელს ისარგებლა 331-მა მასწავლებელმა, ანუ 0,7%-მა
1984 წელს ისარგებლა 590-მა მასწავლებელმა, ანუ 0,8%-მა

დანართი 6

## ცნობები

**მასწავლებელთა მიერ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებით სარგებლობის შესახებ**

1981 წელს ისარგებლა 2594-მა მასწავლებელმა, ანუ 3,23%
1982 წელს — 2768 მასწავლებელმა, ანუ 3,44%
1983 წელს — 3439 მასწავლებელმა, ანუ 4,15%
1984 წელს — 2829 მასწავლებელმა, ანუ 3,43%
სულ: ისარგებლა 11630-მა მასწავლებელმა, ანუ 14,12%

დანართი 8

**1981—1984 წლებში რესპუბლიკაში მასწავლებელთა კადრების დენადობის შესახებ**

| წლები | მასწავლებელთა საერთო რაოდენობა რესპუბლიკაში | მიღებულია სამუშაოზე | გათავისუფლებულია | გათავისუფლებულია % |
|---|---|---|---|---|
| 1981 | 80.379 | 5.470 | 4.281 | 5,3% |
| 1982 | 80.478 | 5.553 | 3.884 | 4,8% |
| 1983 | 83.140 | 5.851 | 3.980 | 4,7% |
| 1984 | 83.160 | 6.525 | 3.830 | 4,6% |

# ცნობები
## განათლების მუშაკთა მორალური სტიმულირების შესახებ

| წლები | ორდენები | | | | | მედლები | | | საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება | სსრკ სახალხო განათლების წარჩინებული | სსრკ განათლების სამინისტროსა და საკავშირო პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი | საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული | საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნ. დაწესებულ. მუშაკთა პროფკ. რესპ. კომიტეტის სიგელი | ი. გოგებაშვილის მედალი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ლენინის | ოქტომბრის რევოლუციის | შრომის წითელი დროშის | საპატიო ნიშნის | ხალხთა მეგობრობის | შრომითი მამაცობის | შრომითი წარჩინების | კრუპსკაიას მედალი | | | | | | | | |
| 1981 | — | 2 | 37 | 90 | 24 | 74 | 84 | 1 | 79 | 60 | 91 | — | 298 | 372 | — | 1212 |
| 1982 | — | — | — | — | — | — | — | 2 | 236 | 99 | 93 | 25 | 804 | 770 | 2 | 2031 |
| 1983 | — | — | — | — | — | — | — | — | 125 | 69 | 57 | — | 907 | 759 | — | 1914 |
| 1984 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 107 | 55 | — | 1083 | 1165 | 1 | 2411 |
| | | | | | | | | | | | | | | | | 7568 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 9

## ცნობები

### სახალხო მეურნეობის სხვა სისტემაში მასწავლებელთა გადასვლის შესახებ

1981 წელი — 8.379 მასწავლებლიდან 293, ანუ 0,40%
1982 წელი — 80.478 მასწავლებლიდან 230, ანუ 0,30%
1983 წელი — 83.140 მასწავლებლიდან 103, ანუ 0,12%
1984 წელი — 83.160 მასწავლებლიდან 202, ანუ 0,24%

დანართი 10

## ცნობები

### 1984 წელს დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ სოფლის მასწავლებელთა შესახებ

1. ახალციხის რაიონის სოფლის 417 მასწავლებლიდან დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს 64, ანუ 15,37%
2. დუშეთის რაიონის სოფლის 368 მასწავლებლიდან — 109, ანუ 29,6%
3. ქარელის რაიონის სოფლის 542 მასწავლებლიდან — 180. ანუ 33,2%
4. თეთრი წყაროს რაიონის სოფლის 312 მასწავლებლიდან — 114, ანუ 36,5%
5. გარდაბნის რაიონის სოფლის 1175 მასწავლებლიდან — 162, ანუ 13,8%
6. წალენჯიხის რაიონის სოფლის 2 489 მასწავლებლიდან — 110, ანუ 22,5%

დანართი 11

## ცნობები

### დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ მასწავლებელთა და მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტთა რაოდენობის შესახებ

1981 წელს დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდა 3133 მასწავლებელი, ანუ რესპუბლიკის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 3,9%, მათ შორის 769 ახალგაზრდა სპეციალისტი, ანუ 0,9%.

1982 წელს — 2885, ანუ 3,3%, მათ შორის 687 ახალგაზრდა სპეციალისტი, ანუ 0,6%.

1983 წელს — 2660, ანუ 3,1%, მათ შორის 604 ახალგაზრდა სპეციალისტი, ანუ 0,7%

1984 წელს — 2592, ანუ 31%, მათ შორის 604 ახალგაზრდა სპეციალისტი, ანუ 0,7%

დანართი 12

## ცნობები

### მე-11 ხუთწლედში მასწავლებელთა სახლების მშენებლობის შესახებ

1. ადიგენის რაიონი — სოფლები კახარეთი, ფხერო, ზანავი
2. აბაშის რაიონი — სოფლები მაიდანი, წყემი, სეფიეთი
3. ასპინძის რაიონი — სოფლები ნაქალაქევი, ორგორა, აწყვიტა, ჭობარეთი
4. ამბროლაურის რაიონი — სოფლები ხოტევი, ჭრებალო
5. გარდაბნის რაიონი — სოფლები ნორიო, ვარკეთილი, გამარჯვება, კუმისი, თელეთი, სართიჭალა, ახალი სოფელი, დიდი ლილო
6. ქ. წყალტუბოს ზონა — სოფლები ცხუნკური, მუხიანი
7. მცხეთის რაიონი — სოფლები მუხრანი, ქსოვრისი, ნიჩბისი, საგურამო, მსხალდიდი
8. წალკის რაიონი — სოფლები ბედიანი, აშკალა
9. ლენტეხის რაიონი — სოფლები წინაგორა, წოლდა, ცხილონი, იკოთი, კორინთა
10. გალის რაიონი — სოფლები ოქუმი, აჩიგვარა, უწერი, საბერიო, თაგილონი

დანართი 13

## ცნობები

### სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურებისათვის გაღებული ხარჯების შესახებ

1981 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 2363.0 ათასი მანეთი, შესრულდა 2279,0 (96,4%)

1982 წელს — 2169,2 ათასი მანეთი, შესრულდა 2213,4 (102,0%)

1983 წელს — 2403,2 ათასი მანეთი, შესრულდა 2422,0 (103,0%)

1984 წელს — 2584,0 ათასი მანეთი, შესრულდა 2575,4 (92,7%)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 14

# ცნობები
## ხელმძღვანელი კადრების დენადობის შესახებ

| № | ქალაქის, რაიონის დასახელება | 1983 წელი | 1984 წელი |
|---|---|---|---|
| 1 | ქ. ქუთაისი | 9 | 25 |
| 2 | ქ. წყალტუბო | 4 | 9 |
| 3 | ადიგენის რაიონი | 1 | 4 |
| 4 | ახალქალაქის „ | 3 | 6 |
| 5 | ახალციხის „ | — | 7 |
| 6 | ახმეტის „ | 3 | 10 |
| 7 | დუშეთის „ | 3 | 6 |
| 8 | ყაზბეგის „ | 1 | 7 |
| 9 | მახარაძის „ | 1 | 11 |
| 10 | სამტრედიის „ | 2 | 6 |
| 11 | საჩხერის „ | 3 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება

### სახალხო განათლების ორგანოებში შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა სახალხო განათლების დარგში შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტები. მიუხედავად ამისა, კვლავ საკმაოდ დიდია ადგილებზე კანონის დარღვევით გათავისუფლებულ მუშაკთა რიცხვი. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი უცოდინარობას ამჟღავნებს შრომის კანონმდებლობის ელემენტარული საკითხების ცოდნის საქმეში. ხშირად მუშაკი არსებითად სწორადაა სამუშაოდან დათხოვნილი, მაგრამ კანონის პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო, სასამართლო იძულებულია იგი სამუშაოზე აღადგინოს.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის მეორე ჯუმათის ბაგა-ბაღის მნე მ. გახარია, ბაგა-ბაღის გამგის მ. ახალაიას ბრძანებით სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის, პროფკომიტეტის თანხმობის გარეშე, დათხოვნილ იქნა სამუშაოდან. სახალხო სასამართლომ გააუქმა ადმინისტრაციის ბრძანება, როგორც უკანონო და მ. გახარია სამუშაოზე აღადგინა. ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და ხელახლა დასვა საკითხი მ. გახარიას გათავისუფლების შესახებ. პროფკომიდან სათანადო დასტურის მიღების შემდეგ მ. გახარია დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, ამჯერად უკვე კანონიერად, ხოლო განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება პირველ უკანონო დათხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ ბაგა-ბაღის გამგეს მ. ახალაიას დააკისრა.

მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს მე-2 საშუალო სკოლის ლაბორანტი ჯ. ჯალილოვი, რომელიც აღნიშნულ სკოლაში 1971 წლის 1 სექტემბრიდან მუშაობდა, სკოლის დირექციამ, შტატების შემცირების მოტივით, 1983 წლის 1 ნოემბრიდან არასწორად დაითხოვა სამუშაოდან. ჯ. ჯალილოვმა იმთავითვე საჩივრებით მიმართა მარნეულის რაიონის განათლების განყოფილებას, პროფკავშირის რაიკომს, მაგრამ მისი კანონიერი თხოვნა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ჯ. ჯალილოვი აღდგენილ იქნა სამუშაოზე მხოლოდ ზემდგომი ორგანოების ჩარევის შემდეგ, ხოლო სამი თვის განაცდური ხელაფსი მას სადახლოს სასოფლო საბჭომ აუნაზღაურა.

ამავე რაიონის სოფელ ყიზილაჯლოს საშუალო სკოლის აღმზრდელი ა. ასკეროვა განათლების განყოფილების ყოფილი გამგის გ. ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიევას ბრძანებით, სამუშაოზე გამოუცხადებლობის მოტივით, 1981 წლის 17 დეკემბრიდან დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, თუმცა ამავე ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მან სამუშაო 1 სექტემბრიდან გააცდინა. ა. ასკეროვას გათავისუფლების ბრძანებას საფუძვლად დაედო სკოლის ადმინისტრაციის 1981 წლის 17 დეკემბრის მომართვა პროფკომიტეტის სახელზე. პროფკომიტეტის ოქმი კი დათარიღებულია 1981 წლის 14 დეკემბრით, ე. ი. პროფკომიტეტმა საკითხი განიხილა ადმინისტრაციის მომართვის გარეშე. გარდა ამისა, ვინაიდან აღმზრდელი ვანათლების განყოფილების ნომენკლატურაა, განათლების განყოფილებას თანხმობის მისაღებად პროფკომიტეტისთვის უნდა მიემართა. ასკეროვამ შრომის წიგნაკი ხელზე მიიღო, ისე, რომ მასში არ შესულა სათანადო ჩანაწერი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. ამდენად ადმინისტრაციას არავითარი დოკუმენტი არ გააჩნია ა. ასკეროვასათვის შრომის წიგნაკისა და ბრძანების ასლის ჩაბარების თაობაზე. განათლების განყოფილების ახლანდელმა გამგემ ბ. კალაევმა არასწორად გააფორმა ა. ასკეროვას სამუშაოზე აღდგენის ბრძანება და იგი სამუშაოზე 1985 წლის 30 აპრილიდან აღადგინა. ბ. კალაევმა დაშვებული შეცდომა მხოლოდ განათლების სამინისტროს ჩარევის შემდეგ გაასწორა და ა. ასკეროვა თანამდებობაზე აღადგინა გათავისუფლების დღიდან, ე. ი. 1981 წლის 1 სექტემბრიდან.

თბილისის საქარხნო რაიონის 108-ე საშუალო სკოლის მუსიკალური სტუდიის მეთოდისტი თ. თამასიძე საქარხნო რაიონის სახალხო განათლების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, ხოლო შემდეგ კანონის დარღვევით გადაყვანილ იქნა სხვა სამუშაოზე, ისე რომ აღნიშნული საკითხი მასთან შეთანხმებული არ ყოფილა. ამასთან, თ. თამასიძე სამუშაოდან დათხოვნილ იქნა ორსულობის პერიოდში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს შრომის სამართლის ინსპექციის ჩარევის შემდეგ იგი დაუყოვნებლივ იქნა სამუშაოზე აღდგენილი და განაცდური დროის თანხა სახელმწიფოს ხარჯზე აუნაზღაურდა, თუმცა კანონით მსგავსი დარღვევებისათვის განაცდური დროის ხელფასის გადახდა დამნაშავე პირს უნდა დაკისრებოდა.

ქ. ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ყოფილი დირექტორი ი. ჯანაშია ამ თანამდებობიდან განთავისუფლდა 1981 წლის 1-ლი აპრილიდან პირადი განცხადების საფუძველზე, იქვე ორი ჯგუფის (წრის) დატოვებით. ამასთან, 1981 წლის 1 აპრილიდან იგი დროებით დანიშნული იყო პიონერთა სასახლეში მხატვრული და ესთეტიკური აღზრდის განყოფილების გამგედ, სადაც იმუშავა 1981 წლის 1 სექტემბრამდე. ამ პერიოდში მას პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორის თანამდებობიდან უკანონოდ განთავისუფლებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ პრეტენზიით სათანადო ორგანოებისათვის არ მიუმართავს, ე. ი. ჯანაშიას პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორობიდან განთავისუფლება მოხდა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლი ქვემუხლის (მხარეთა შეთანხმება) საფუძველზე. 1981 წლის 1 სექტემბერს მან თვითნებურად მიატოვა სამუშაო, რისთვისაც იგი ადმინისტრაციის შრომის კანონმდებლობის საფუძველზე წრეების ხელმძღვანელობიდან უნდა გაენთავისუფლებინა 1981 წლის სექტემბრის თვეში და დაუყოვნებლივ ჩაებარებინა შრომის წიგნაკი, მაგრამ ი. ჯანაშია სამუშაოდან ბრძანებით არ გაუნთავისუფლებიათ, არც შრომის წიგნაკში შეუტანიათ სათანადო ჩანაწერები და მისთვის არც არსებული წესით ჩაუბარებიათ შრომის წიგნაკი. ამ ნაწილში ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილებამ დაარღვია საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 41-ე მუხლის მოთხოვნა (ყოფილი გამგე ა. ბერულავა). ი. ჯანაშიას შრომის წიგნაკი ხელზე აღმოაჩნდა სათანადო ჩანაწერების გარეშე, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქმეთა მწარმოებლის ნ. მებონიას განმარტებით ი. ჯანაშიას პირადი საქმე და შრომის წიგნაკი თან ჰქონდა წაღებული. ი. ჯანაშიას საჩივრების დაწერის პირველი დღეებიდანვე წერილობით შეეთავაზა დაწყებითი კლასების მასწავლებლობა მე-9 საშუალო სკოლაში, ხოლო სიტყვიერად, 1-ლ, მე-4, ან მე-8 საშუალო სკოლებში დირექტორის მოადგილეობა, რაზედაც მან უარი განაცხადა. ამასთან, ი. ჯანაშია პირადი განცხადების საფუძველზე 1984 წლის 29 აპრილს დაინიშნა ქალაქის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტად, ხოლო შემდეგ, სამუშაოზე კვლავ გამოუცხადებლობის გამო, გაუქმებული იქნა ბრძანება აღნიშნულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ. ამჟამად ი. ჯანაშია ზემდგომ ორგანოებში ჩივის და სამუშაოზე აღდგენას 1981 წლიდან მოითხოვს.

სახალხო განათლების ორგანოებში შრომის კანონმდებლობის დარღვევათა თავიდან აცილების, ამ საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. აღკვეთონ სახალხო განათლების მუშაკთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის ფაქტები და თითოეული მათგანის გათავისუფლება დაასაბუთონ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

1. 2. ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა დათხოვნის ბრძანების გაფორმების დროს საკონსულტაციოდ მიმართონ იურისტ-სპე-

ციალისტებს და მხოლოდ მათი დასკვნის შემდეგ მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება;

1. 3. მკაცრად დასაჯონ სახალხო განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლებიც კანონის დარღვევით, დაუსაბუთებლად ათავისუფლებენ მუშაკს სამუშაოდან;

1. 4. მიაღწიონ იმას, რომ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 41-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციამ სამუშაოზე მიღებულ პირს 5 დღის ვადაში გაუხსნას შრომის წიგნაკი და იმავე მუხლის თანახმად ჩააბაროს გათავისუფლების დღეს. განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება დაეკისროს პირადად მას, ვინც ხელს აწერს მუშაკის სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის ბრძანებას, ან განკარგულებას დათხოვნის შესახებ.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის მეორე ჯუმათის ბაგა-ბაღში შექმნილი მდგომარეობის შესახებ იმსჯელა საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის ბიურომ. განათლების განყოფილების გამგეს ლ. გორდულაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო ბაგა-ბაღის გამგეს მ. ახალაიას სახალხო სასამართლომ დააკისრა მ. გახარიასათვის სამი თვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

3. შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის გამო, რაც ჯ. ჯალილოვის სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლებასა და მისი აღდგენის საქმის გაჭიანურებაში გამოიხატა, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს ი. მამედოვს გამოეცხადოს საყვედური.

— რჩევა მიეცეს მარნეულის რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს აღძრას სარჩელი რაიონის სახალხო სასამართლოში ჯ. ჯალილოვის სამი თვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ი. მამედოვისათვის დაკისრების შესახებ.

4. აღინიშნოს მარნეულის (ამხ. ბ. კალაევი) და ჩხოროწყუს (ამხ. ლ. გორდულაძე) განათლების განყოფილებათა არასაკმარისი მუშაობა სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა სამართლებრივი განათლების უზრუნველყოფის საქმეში.

5. თბილისის საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. კბილაშვილს 108-ე საშუალო სკოლის მუსიკალური სტუდიის მეთოდისტ თ. თამასიძის კანონის დარღვევით სამუშაოდან გათავისუფლებისა და აგრეთვე მისი თანხმობის გარეშე სხვა სამუშაოზე გადაყვანისათვის მიეცეს შენიშვნა. მასვე დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თ. თამასიძისათვის ანაზღაურებული ხელფასის ერთი მესამედის გადახდა.

6. დაევალოს ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილებას (ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ქავთარაძე) დაუყოვნებლივ მოაწყოს ი. ი. ჯანაშია შესაფერის სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით:

6. 1. ქ. ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ყოფილ დირექტორს იზაბელა იოსების ასულ ჯანაშიას საფუძვლის უქონლობის გამო უარი ეთქვას სამუშაოზე აღდგენაზე;

6. 2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე ა. ბერულავა, რომელმაც ი. ი. ჯანაშიას მიმართ დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის § 4 და ნაწილობრივ 41-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, სახალხო განათლების სისტემაში აღარ მუშაობს.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების შესახებ მოახსენოს კოლეგიას 1986 წლის III კვარტალში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ
# КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об итогах контрольной работы по русскому языку, проведенной в X классах общеобразовательных школ с нерусским языком обучения и задачах органов народного образования и педагогических коллективов республики в свете основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы

**3 октября 1985 года**

Коллегия отмечает, что органы народного образования республики, педагогические коллективы общеобразовательных школ проводят определенную работу по осуществлению основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы.

Среди мер, касающихся улучшения изучения русского языка, особое место занимает поэтапный переход на новые усовершенствованные программы и учебники, а также практика деления на подгруппы I-X классов при изучении русского языка и VIII-X классов — при изучении литературы.

Проведенная в конце 1984—1985 учебного года контрольная письменная работа показала, что в определенной мере поднялся уровень подготовленности учащихся по предмету, изучение языковой теории все более стало подчиняться задачам развития речи, большинство выпускников общеобразовательных школ владеют умениями и навыками практического применения грамматических правил, повысилась культура письменной речи школьников.

Этому, в свою очередь, способствовало качественное улучшение состава учительских кадров, более ответственный, с национально-государственных позиций, подход к порученному делу, совершенствование методического аппарата, постоянная забота о повышении квалификации учителей на уровне современных требований.

Вместе с тем, следует отметить, что в деле преподавания и изучения русского языка в нерусских школах все еще имеем серьезные недостатки и промахи, что еще раз выявилось по итогам проведенной в республике контрольной письменной работы.

Контрольную работу писали 39186 выпускников X классов национальных школ республики, из них получил оценку:

5 (отлично) — 802; 3 (удов.) — 25324;
4 (хорошо) — 6841; 2 (плохо) — 6219.

Перепроверка работ в Министерстве просвещения выявила низкую квалификацию, безответственное отношение, либерализм некоторых учителей в деле оценки знаний учащихся.

В частности, из 578 работ оцененных на «отлично» в 128 оценка «5» была снижена на «4», в 25 работах «5» снижена на «3», в 3-х работах «5»—на «2», в 17-ти работах «4» снижена на «3», и в 1-ой работе оценка «4» снижена на «2».

Анализ типовых ошибок, допущенных в работах выпускников школ показал, что многие из них допускают грубые речевые ошибки, не умеют пересказать прочитанное, не имеют достаточного словарного запаса, много ошибок в правописании падежных окончаний, безударных гласных, мягких и твердых согласных, согласований в роде, числе, в расстановке знаков препинания и т. д.

Отмеченные выше недостатки отрицательно сказались на уровне знаний учащихся. Как показали результаты проверки, с письменным заданием справились лишь 84% выпускников средних школ.

Заслушав и обсудив справку Управления школ о результатах контрольной работы по русскому языку, проведенной в десятых классах общеобразовательных школ республики с нерусским языком обучения, коллегия р е ш а е т:

1. Отметить, что органы народного образования республики, педагогические коллективы общеобразовательных школ проводят определенную работу по осуществлению Основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы.

2. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования Тбилгорисполкома:

2. 1. данное решение рассмотреть на педсоветах, советах обл. рай (гор) оно и заседаниях коллегий, наметить и осуществить меры по искоренению имеющихся в работе недостатков;

2. 2. обеспечить безусловное выполнение задач обучения и воспитания учащихся, определенных постановлением ЦК

КПСС и Совета Министров СССР от 12 апреля 1984 года «О дальнейшем совершенствовании общего среднего образования молоджи и улучшения условий работы общеобразовательной школы»;

2. 3. устранить отмеченные недостатки в деле изучения и преподавания русского языка в школах с нерусским языком обучения, периодически изучать в школах состояние преподавания русского языка и установить контроль за выполнением принятых решений. Повысить персональную ответственность методистов и инспекторов данного предмета, директоров школ за неукоснительное выполнение методических указаний о видах, количестве, порядке проверки и нормах оценки письменных работ по русскому языку и литературе, повышение качества обучения, успеваемости школьников по предмету. Определить меры по искоренению формализма в обучении, преодолению либерализма в оценке знаний, умений и навыков учащихся;

2. 4. практиковать проведение районных (городских), областной, республиканских проверочных контрольных работ по русскому языку с обсуждением итогов на советах обл. рай (гор) оно и заседаниях коллегии;

2. 5. усилить практическую направленность преподавания русского языка и литературы, используя в старших классах, такие формы, как лекция, семинарские занятия, собеседование;

2. 6. потребовать от директоров школ:

— усилить контроль за работой учителей начальных классов, повысить ответственность заместителя директора по учебно-воспитательной работе за руководство начальными классами;

— добиваться преодоления формализма в использовании кабинетов русского языка и литературы;

— неукоснительно выполнять указание о делении на подгруппы I-X классов на уроках русского языка и VIII-X классов — на уроках русской литературы при соответствующем контингенте учащихся;

2. 7. принять во внимание, что в ближайшее время коллегия Министерства просвещения ГССР рассмотрит вопрос об итогах выпускных экзаменов и осуществит соответствующие меры в отношении учителей русского языка и литературы, упомянутых в справке.

3. Научно-исследовательскому институту педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Ш. Амонашвили):

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 1. разработать для учителей методические материалы по проблемам обучения русскому языку в национальных школах республики: сборники диктантов и изложений, методические рекомендации по проведению кружковой работы с допризывной молодежью и призывниками, раздаточные дидактические материалы, грамматические таблицы и схемы, материалы по развитию устной и письменной речи учащихся грузинских школ и. т. д.;

3. 2. до конца 1985 года закончить работу по созданию программно-методических материалов для I—XI классов грузинских общеобразовательных школ.

4. Центральному институту усовершенствования учителей (тов. Г. Гватуа) совместно с зональными институтами:

4. 1. совершенствуя систему повышения квалификации, создать благоприятные условия для непрерывного расширения и обновления знаний, постоянного роста общей культуры и профессионального уровня учителей русского языка и литературы;

4. 2. целенаправленно повышать эффективность курсовых мероприятий, оперативно принимать меры по устранению отмеченных в справке недостатков как в процессе повышения квалификации, так и методической работы;

4. 3. проявлять постоянное внимание к усовершенствованию методов и приемов повышения квалификации, способствовать повышению методического уровня учителей и улучшению качества преподавания русского языка в школе;

4. 4. планируя повышение квалификации педагогических кадров, обеспечить дифференцированный подход к комплектованию их работы.

5. Управлению учебников (тов. Н. Глонти):

5. 1. принять меры для своевременного издания программно-методических материалов для учителей по проблемам обучения русскому языку в грузинских школах;

5. 2. обеспечить своевременное издание учебника для IX класса школ с углубленным изучением русского языка;

5. 3. направить все усилия на организацию работы по оперативному обеспечению учителей методической литературой.

6. Просить издательство «Ганатлеба» (тов. Л. Хундадзе) обеспечить своевременно издание необходимым тиражом программно-методических и наглядно-дидактических материалов по русскому языку и литературе для грузинских школ.

7. Газете «Сахалхо ганатлеба», журналу «Скола да цховреба» (тт. Н. Швелидзе, Г. Дзерия): систематически освещать актуальные вопросы изучения и преподавания русского языка, особое внимание уделять обобщению передового опыта работы.

8. Управлению школ (т. Т. Татишвили):

8. 1. планомерно изучать состояние преподавания русского языка в различных регионах республики;

8. 2. установить контроль за выполнением данного решения.

**Председатель коллегии,**

Министр **О. Д. Кинкладзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


ბრძანება № 469 — სამხედრო-პატრიოტული მუშაობის რესპუბლიკურ დათვალიერებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მონაწილეობის შედეგების შესახებ 3

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაკთა შრომის შინაგანაწეს 8

Правила внутреннего трудового распорядка для работников Министерства просвещения Грузинской ССР 19

ბრძანება № 550 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის ფუნქციების განაწილების შესახებ 30

ბრძანება 575 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მუშაობის დებულების შესახებ 32

Приказ № 575 — о Положении о работе коллегии Министерства просвещения ГССР 33

დადგენილება — რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში 1984 წელს კადრების დენადობის მდგომარეობის შესახებ 35

დადგენილება — სახალხო განათლების ორგანოებში შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ 47

Решение — об итогах контрольной работы по русскому языку, проведенной в X классах общеобразовательных школ с нерусским языком обучения и задачах органов народного образования и педагогических коллективов республики в свете направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы 52

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 20/XII-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/II-86 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,25.
შეკვეთა № 1120 უე 10070 ტირაჟი 6000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7